

## ენათმეცნიერება Linguistic

### ანტითეზა როგორც სტილისტური მარკერი პოლიტიკურ დისკურსში

**ნინო თავიდაშვილი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: [nino.tavidashvili@atsu.edu.ge](mailto:nino.tavidashvili@atsu.edu.ge)

<https://doi.org/10.52340/lac.2024.31.04>

SJIF 2024: 8.268

ნაშრომის მიზანია ანტითეზის, როგორც პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტილისტური მარკერის, ანალიზი ინგლისური და ქართულენოვანი დომინანტური (საპრეზიდენტო) დისკურსის მასალაზე დაყრდნობით. კვლევის პროცესში მივმართეთ ტექსტის პრაგმატიკული ინტერპრეტაციის, აღწერით და შეპირისპირებით მეთოდებს, რამაც მოგვცა ანტითეზებით გამოხატული ადრესანტის კომუნიკაციური ინტენციის განსაზღვრის, ანტითეზების ძირითადი მახასიათებლების გამოკვეთის და შესაბამის ინგლისურ და ქართულ ანტითეზებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავებების დადგენის შესაძლებლობა. საკვლევ კორპუსად შერჩეულია მასალა XXI საუკუნის ინგლისური და ქართულენოვანი საპრეზიდენტო დისკურსიდან.

ანტითეზა წარმოადგენს სტილისტურ მარკერს, რომელიც ეფუძნება ურთიერთშედარებითი კონცეპტების კონტრასტს. ანტითეზა შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ორი სიტყვით, ან სიტყვათა ორი ჯგუფით, რომლებსაც ერთმანეთთან აკავშირებს რეგულარული, ან კონტექსტუალური ანტონიმია.

პოლიტიკური დისკურსის ინტერპრეტაცია დამოკიდებულია მრავალმხრივ კონტექსტუალურ ფაქტორებზე. დისკურსის გააზრებისას საკომუნიკაციო აქტის მონაწილეებს შორის მყარდება კომპლექსური ინტერტექსტუალური, ინტერდისკურსული, სოციალური და ინტერკულტურული კავშირები, რაც საფუძვლად უდევს დისკურსის მრავალფეროვან ინტერპრეტაციებს. პოლიტიკური დისკურსის და მისი შესაძლებლობების მიმართ არსებული მზარდი ინტერესის მიუხედავად, მოცემულ ეტაპზე ანტითეზა, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არგუმენტაციური სტრატეგია, სიღრმისეულად ჯერ კიდევ არ არის გამოკვლეული.

პოლიტიკური ანტითეზა ეყრდნობა სხვადასხვა სახის ბინარულ ოპოზიციას, რომელიც წარმოადგენს აუდიტორიაზე გავლენის მოხდენის ერთ-ერთ მთავარ მეთოდს პოლიტიკურ დისკურსში. ანტითეზა აგებულია რეგულარული, ან კონტექსტუალური ანტონიმებით და სხვადასხვა სახის კოჰეზიური საშუალებებით. საკვლევ კორპუსში, ასევე, გვხვდება მეტაფორის გამოყენების არაერთი მაგალითი. ეს უკანასკნელი მნიშვნელოვნად აძლიერებს ანტითეზის ექსპრესიულობას.

ამრიგად, სახეზეა გამოხატვის განსხვავებული საშუალებების ორგანული სინთეზი, რაც მძლავრ პერსუაზიულ ეფექტს ქმნის და ანტითეზას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტილისტურ მარკერად აქცევს.

**საკვანძო სიტყვები:** ანტითეზა, სტილისტური მარკერი, პოლიტიკური დისკურსი

ანტითეზა წარმოადგენს სტილისტურ მარკერს, რომელიც ეფუძნება ურთიერთშედარებითი კონცეპტების კონტრასტს. ანტითეზა შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს ორი სიტყვით, ან სიტყვათა ორი ჯგუფით, რომლებსაც ერთმანეთთან აკავშირებს რეგულარული, ან კონტექსტუალური ანტონიმია. ანტითეზას, როგორც მძლავრ არგუმენტაციურ სტრატეგიას, სისტემატურად მიმართავდნენ კლასიკოსი ორატორები. ჩუდინოვი [2006], შეიგალი [2000] და პოლიტიკური დისკურსის სხვა მკვლევარები ხაზგასმით მიუთითებენ ანტითეზის, როგორც გამორჩეულად ეფექტური სტილისტური მარკერის, როლსა და მნიშვნელობაზე პოლიტიკურ დისკურსში.

პოლიტიკის სპეციფიკას, სხვა სამოქმედო სფეროებისგან განსხვავებით, აყალიბებს მისი დისკურსიული ხასიათი: მრავალი პოლიტიკური მოქმედება წარმოადგენს სწორედ ენობრივ მოქმედებას [Шейгал, 2000:17]. პოლიტიკური აზროვნება და ქმედება განუყოფელია პოლიტიკური მეტყველებისგან [კირვალიძე, 2009:121]. პოლიტიკური დისკურსის ინტერპრეტაცია დამოკიდებულია მრავალმხრივ კონტექსტუალურ ფაქტორებზე. დისკურსის გააზრებისას საკომუნიკაციო აქტის მონაწილეებს შორის მყარდება კომპლექსური ინტერტექსტუალური, ინტერდისკურ-სული, სოციალური და ინტერკულტურული კავშირები, რაც საფუძვლად უდევს დისკურსის მრავალფეროვან ინტერპრეტაციებს [Dontcheva-Navratilova, 2017]. პოლიტიკური დისკურსის და მისი შესაძლებლობების მიმართ არსებული მზარდი ინტერესის მიუხედავად, მოცემულ ეტაპზე ანტითეზა, როგორც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი არგუმენტაციური სტრატეგია, სიღრმისეულად ჯერ კიდევ არ არის გამოკვლეული [Mohammad et al, 2018].

ანტითეზა ფართოდ გამოიყენება მოსაუბრის „მართებული“ ქმედებების, ან თვისებების შესაპირისპირებლად ოპონენტის „არამართებულ“ ქმედებებთან, ან თვისებებთან [Владимиrowa, Тупикова, 2017]. პოლიტიკური ანტითეზა ეყრდნობა სხვადასხვა სახის ბინარულ ოპოზიციას,

რომელიც წარმოადგენს აუდიტორიაზე გავლენის მოხდენის ერთ-ერთ მთავარ მეთოდს პოლიტიკურ დისკურსში.

ნაშრომის მიზანია ანტითეზის, როგორც პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებული მნიშვნელოვანი სტილისტური მარკერის, ანალიზი ინგლისური და ქართულენოვანი დომინანტური (საპრეზიდენტო) დისკურსის მასალაზე დაყრდნობით. კვლევის პროცესში მივმართეთ ტექსტის პრაგმატიკული ინტერპრეტაციის, აღწერით და შეპირისპირებით მეთოდებს, რამაც მოგვცა ანტითეზებით გამოხატული ადრესანტის კომუნიკაციური ინტენციის განსაზღვრის, ანტითეზების ძირითადი მახასიათებლების გამოკვეთის და შესაბამის ინგლისურ და ქართულ ანტითეზებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავებების დადგენის შესაძლებლობა. საკვლევ კორპუსად შერჩეულია მასალა XXI საუკუნის ინგლისური და ქართულენოვანი საპრეზიდენტო დისკურსიდან.

ინგლისურენოვანი საპრეზიდენტო დისკურსი გამოირჩევა ანტითეზების სიმრავლით. ანტითეზების პრაგმატიკული ინტერპრეტაციის შედეგად იკვეთება ადრესანტის სხვადასხვა სახის ინტენცია:

1) ამერიკული სახელმწიფოს და საზოგადოების მიერ განვლილი დემოკრატიული ღირებულებების განვითარების გზის დემონსტრირება:

Flawed and fallible people united across the generations by grand and enduring ideals (ბუში 2001) - სახეზეა ბინარული ოპოზიცია „მანკიერება-ღირსება“, ანტითეზა წარმოდგენილია რეგულარული ანტონიმებით flawed – grand/fallible - enduring;

...the story of a slaveholding society that became a servant of freedom (ბუში 2001) - ბინარული ოპოზიცია „მანკიერება-ღირსება“, რეგულარული ანტონიმები slave – freedom; მეტაფორა servant of freedom აძლიერებს ანტითეზის ექსპრესიულობას;

2) შეერთებული შტატების, როგორც დემოკრატიული ღირებულებების და გლობალური უსაფრთხოების დაცვის გარანტის, როლის აქცენტირება:

It is the determined choice of trust over cynicism, of community over chaos (ბუში 2001) - ბინარული ოპოზიცია „სწორი-არასწორი“, კონტექსტუალური ანტონიმები trust – cynicism/community - chaos;

We can right wrongs (ბაიდენი 2021) - ბინარული ოპოზიცია „სწორი-არასწორი“, რეგულარული ანტონიმები right - wrong;

But we are also heirs to those who won the peace and not just the war; who turned sworn enemies into the surest of friends (ობამა 2013) - ბინარული ოპოზიცია „სწორი - არასწორი“, რეგულარული ანტონიმები peace – war/enemy - friend;

A power that went into the world to protect but not possess, to defend but not to conquer (ბუში 2001) - ბინარული ოპოზიცია „სწორი - არასწორი“, კონტექსტუალური ანტონიმები protect – possess და რეგულარული ანტონიმები defend - conquer;

3) საზოგადოების გამხმევა, შთაგონება და სამომავლო პერსპექტივების დასახვა:

We must show courage in a time of blessing by confronting problems instead of passing them on to future generations (ბუში 2001) - ბინარული ოპოზიცია „სწორი-არასწორი“, კონტექსტუალური ანტონიმები confronting – passing on to;

For we know that our patchwork heritage is a strength, not a weakness (ობამა 2009) - ბინარული ოპოზიცია „სწორი-არასწორი“, რეგულარული ანტონიმები strength - weakness;

We can do this if we open our souls instead of hardening our hearts (ბაიდენი 2021) - ბინარული ოპოზიცია „სწორი-არასწორი“, კონტექსტუალური ანტონიმები open – harden, რომლებიც, ასევე, წარმოადგენენ მეტაფორებს;

And together, we shall write an American story of hope, not fear; of unity, not division; of light, not darkness (ბაიდენი 2021) - ბინარული ოპოზიცია „სწორი-არასწორი“, კონტექსტუალური ანტონიმები hope – fear, რეგულარული ანტონიმები unity – division/light - darkness;

4) ოპონენტების კრიტიკა:

For too long, a small group in our Nation’s Capital has reaped the rewards of Government while the people have borne the cost (ტრამპი 2017) - ბინარული ოპოზიცია „პარაზიტი - დაზარალებული“, კონტექსტუალური ანტონიმები reap - bear.

ზემოთ წარმოდგენილი ანტითეზების ნაწილი აგებულია კოპეზიური საშუა-ლებების - not, but not, instead of და while - გამოყენებით.

ქართულ საპრეზიდენტო დისკურსშიც დიდი რაოდენობით არის წარმოდგენილი ანტითეზები. პრაგმატიკული ინტერპრეტაციის შედეგად აქაც იკვეთება ადრესანტის სხვადასხვა სახის ინტენცია:

1) გამოწვევებით სავსე ისტორიული წარსულის დემონსტრირება:

რამდენადაც დიდებულია ჩვენი სამშობლო, იმდენად მძიმე იყო ჩვენი ისტორიული ხვედრი მის შესანარჩუნებლად (საკაშვილი 2008) - ბინარული ოპოზიცია „ჯილდო - საფასური“, კონტექსტუალური ანტონიმები: დიდებული - მძიმე;

რამდენადაც თვალწარმტაცია საქართველო, იმდენად კოლოსალური იყო გამოწვევები მის დასაცავად ამაყი ქართველი ერისათვის (საკაშვილი 2008) - ბინარული ოპოზიცია „ჯილდო-საფასური“, კონტექსტუალური ანტონიმები: თვალწარმტაცი - გამოწვევები;

2) ისტორიული სამართლიანობის აღდგენის ხაზგასმა:

ძალიან ნიშანდობლივია, რომ სწორედ ახლა, როდესაც ჩვენ დამოუკიდებლობის აღდგენის ასი წლისთავს ვხეიმობთ, მე, ემიგრაციაში დაბადებული, გავხდი საქართველოს პრეზიდენტი. ამით შეიკრა ერთგვარი წრე: რუსეთის მეთერთმეტე არმიის შემოსევისა და საბჭოთა ოკუპაციის შედეგად წასული ემიგრაციის შთამომავალი, დღეს, კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებით, დამოუკიდებლობის დამცველად და უმაღლეს მთავარსარდლად ვბრუნდები (ზურაბიშვილი 2018) - ბინარული ოპოზიცია „სწორი-არასწორი“, კონტექსტუალური

ანტონიმები: ემიგრაციაში დაბადებული, ოკუპაციის შედეგად წასული ემიგრაციის შთამომავალი - პრეზიდენტი, დამოუკიდებლობის დამცველი, უმაღლესი მთავარსარდალი;

3) განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლის ხაზგასმა:

დასრულდა პოსტსაბჭოთა პერიოდი და დაიწყო თანამედროვე ტიპის დემოკრატიის მშენებლობა (მარგველაშვილი 2013) - ბინარული ოპოზიცია „წარსული-აწმყო“, კონტექსტუალური ანტონიმები: პოსტსაბჭოთა - დემოკრატია;

4) საზოგადოების გამხნეება, შთაგონება და სამომავლო პერსპექტივების დასახვა:

მე ვხედავ საქართველოს, რომელიც მისი შვილებისათვის არა გადარჩენისთვის ბრძოლის, არამედ ღირსეული ყოფის, სიცოცხლით ტკბობის, ნიჭიერების გაფურჩქვნისა და თვითრეალიზაციის სივრცეა (მარგველაშვილი 2013) - ბინარული ოპოზიცია „უპერსპექტივობა - პერსპექტივა“, კონტექსტუალური ანტონიმები: გადარჩენისთვის ბრძოლა - ღირსეული ყოფა, ტკბობა, გაფურჩქვნა, თვითრეალიზაცია;

5) სახელმწიფოს წინაშე ხელისუფლებისა და მოქალაქეების პასუხისმგებლობის ხაზგასმა:

რამდენადაც დიდი ჯილდოა ეს ქვეყანა თითოეული ჩვენგანისთვის, იმდენად დიდი გმირობა მოგვეთხოვება იმისათვის, რომ ეს ჯილდო ვერავინ წაგვართვას (სააკაშვილი 2008) - სახეზეა ბინარული ოპოზიცია „ჯილდო - საფასური“, კონტექსტუალური ანტონიმები: ჯილდო - გმირობა. ამასთან, „ჯილდო“ წარმოადგენს მეტაფორას;

ჩემთვის დღევანდელი დღე არის არა ტრიუმფის, არამედ ჩემი ხალხისთვის თავდადების დღე (სააკაშვილი 2008) - ბინარული ოპოზიცია „სწორი-არასწორი“, კონტექსტუალური ანტონიმები: ტრიუმფი - თავდადება;

უდიდესი პატივი და ტვირთია იყო საქართველოს პრეზიდენტი (მარგველაშვილი 2013) - ბინარული ოპოზიცია „ჯილდო - საფასური“, კონტექსტუალური ანტონიმები: პატივი - ტვირთი. „ტვირთი“ წარმოადგენს მეტაფორას;

6) ეროვნული კონსოლიდაციის აქცენტირება:

ჩვენ ვაშენებთ დემოკრატიას ყველა ქართველისთვის და არა მხოლოდ მისი საზოგადოების რომელიმე ერთი ნაწილისათვის (სააკაშვილი 2008) - ბინარული ოპოზიცია „სწორი-არასწორი“, რეგულარული ანტონიმები: ყველა - ერთი;

ჯარის იდეოლოგიური და პოლიტიკური ნიშნით დაყოფის მცდელობები, რასაც ადგილი ჰქონდა ბოლო პერიოდში, არის სრულიად მიუღებელი. ეს აზარალებს სახელმწიფოს და აძლიერებს მტერს (ზურაბიშვილი 2018) - ბინარული ოპოზიცია „სწორი-არასწორი“, რეგულარული ანტონიმები: აზარალებს - აძლიერებს;

7) დეცენტრალიზაციისკენ სწრაფვის დემონსტრირება:

პრეზიდენტის ინაუგურაცია ტარდება არა ქვეყნის დედაქალაქში, არამედ ერთ-ერთ რეგიონში, კახეთში და ეს ჩემი არჩევანია (ზურაბიშვილი 2018) - ბინარული ოპოზიცია

„ცენტრალიზაცია - დეცენტრალიზაცია“, კონტექსტუალური ანტონიმები: დედაქალაქი - რეგიონი;

8) ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობის დემონსტრირება:

არის ბევრი ეთნიკური ჯგუფი, მაგრამ ერთია ჩვენი ერი (სააკაშვილი 2008) - ბინარული ოპოზიცია „კონტრასტი - ერთიანობა“, რეგულარული ანტონიმები: ბევრი - ერთი;

არის ბევრი აღმსარებლობა, მაგრამ ერთია ჩვენი საერთო რწმენა (სააკაშვილი 2008) - ბინარული ოპოზიცია „კონტრასტი - ერთიანობა“, რეგულარული ანტონიმები: ბევრი - ერთი;

ვიქნები საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიასთან საკონსტიტუციო შეთანხმების დაცვის გარანტი. ამავდროულად, განუხრელად დავიცავ საქართველოში მცხოვრები ყველა აღმსარებლობის წარმომადგენელთა კონსტიტუციურ უფლებებს (მარგველაშვილი 2013) - ბინარული ოპოზიცია „კონტრასტი-ერთიანობა“, კონტექსტუალური ანტონიმები: მართლმადიდებლობა - ყველა აღმსარებლობა;

9) სწრაფვა საერთაშორისო ურთიერთობების განმტკიცებისკენ:

კარგად დაცული საზღვრები უნდა ვაქციოთ ხიდეზად და არა ბარიერებად (სააკაშვილი 2008) - ბინარული ოპოზიცია „სწორი-არასწორი“, კონტექსტუალური ანტონიმები: ხიდი - ბარიერი. „ხიდი“ მოცემულ შემთხვევაში მეტაფორაც არის.

ქართულ პოლიტიკურ დისკურსში გამოყენებული ანტითეზების უმრავლესობა აგებულია შემდეგი კოჰეზიური საშუალებებით: რამდენადაც... იმდენად, და, არა...არამედ, მაგრამ, ამავდროულად.

მაშასადამე, საკვლევ კორპუსში იკვეთება ანტითეზით გამოხატული ადრესანტის სხვადასხვა სახის ინტენცია. როგორც ინგლისურ, ისე ქართულენოვან დისკურსში ადრესანტის ერთ-ერთი უმთავრესი კომინიკაციური ინტენციაა საზოგადოების გამხნეება, შთაგონება და სამომავლო პერსპექტივების დასახვა. ისტორიული წარსულის დემონსტრირებისას ინგლისურენოვან დისკურსში აქცენტირებულია დემოკრატიული ღირებულებების განვითარების გზა, ქართულენოვან დისკურსში კი - მუდმივი გამოწვევები საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე. საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს წარმოჩენის თვალსაზრისით, ინგლისურენოვან დისკურსში წინა პლანზეა წამოწეული შეერთებული შტატების, როგორც დემოკრატიული ღირებულებების და გლობალური უსაფრთხოების დაცვის გარანტის, როლი, ხოლო ქართულენოვან დისკურსში - სწრაფვა საერთაშორისო ურთიერთობების განმტკიცებისკენ. ინგლისურენოვან მასალაში წარმოდგენილია ოპონენტების კრიტიკაც, რაც ქართულენოვან მასალაში არ დაფიქსირებულა. ქართულენოვან მასალას ინგლისურენოვანისაგან განასხვავებს, ასევე, ისტორიული სამართლიანობის აღდგენის, განვითარების ახალ ეტაპზე გადასვლის, სახელმწიფოს წინაშე ხელისუფლებისა და მოქალაქეების პასუხისმგებლობის, ეროვნული კონსოლიდაციის, დეცენტრალიზაციისკენ სწრაფვის და ეთნიკური და რელიგიური ტოლერანტობის ხაზგასმა.

ინგლისურენოვან მასალაში სჭარბობს ბინარული ოპოზიცია „სწორი-არასწორი“. შედარებით იშვიათად გვხვდება ოპოზიციები - „მანკიერება-ღირსება“ და „პარაზიტი-დაზარალებული“. ქართულენოვან მასალაში თითქმის თანაბარი სიხშირით არის წარმოდგენილი ოპოზიციები - „სწორი-არასწორი“, „ჯილდო-საფასური“ და „კონტრასტი-ერთიანობა“; შედარებით იშვიათია - „წარსული-აწმყო“, „უპერსპექტივობა - პერსპექტივა“ და „ცენტრალიზაცია - დეცენტრალიზაცია“.

ინგლისურენოვან ანტითეზებში თანაბარი სიხშირით გვხვდება რეგულარული და კონტექსტუალური ანტონიმია, ქართულენოვან მასალაში კი სჭარბობს კონტექსტუალური ანტონიმის მაგალითები.

როგორც ინგლისურ, ისე ქართულენოვან მასალაში ანტითეზები აგებულია სხვადასხვა სახის კოპეზიური საშუალებებით. გვხვდება მეტაფორის გამოყენების არაერთი მაგალითი (განსაკუთრებით - ქართულენოვან მასალაში). ეს უკანასკნელი კიდევ უფრო მეტად აძლიერებს ანტითეზის ექსპრესიულობას.

ამრიგად, სახეუა გამოხატვის განსხვავებული საშუალებების ორგანული სინთეზი, რაც მძლავრ პერსუაზიულ ეფექტს ქმნის და ანტითეზას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტილისტურ მარკერად აქცევს.

#### ლიტერატურა:

- 1) **კირვალიძე ნ.**, პოლიტიკური დისკურსი და კოგნიტური მეტაფორები, ინტელექტი, #3 (35). გვ.121-125, 2009.
- 2) **მიხეილ სააკაშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვა ინაუგურაციაზე**, 2008 (ელ. რესურსი). - წვდომის რეჟიმი: <https://old.civil.ge/geo/article.php?id=17342>. - წვდომის თარიღი: 10.04.2024.
- 3) **პრეზიდენტ მარგველაშვილის საინაუგურაციო გამოსვლა**, 2013 (ელ. რესურსი). - წვდომის რეჟიმი: <https://civil.ge/ka/archives/152398>. - წვდომის თარიღი: 10.04.2024.
- 4) **სალომე ზურაბიშვილის საინაუგურაციო სიტყვა**, 2018 (ელ. რესურსი). - წვდომის რეჟიმი: <https://civil.ge/ka/archives/271166>. - წვდომის თარიღი: 10.04.2024.
- 5) **The American Presidency Project** (e. resource). – Access regime: <https://www.presidency.ucsb.edu/documents>. – Last date of access: 10.04.2024.
- 6) **Dontcheva-Navratilova O.**, Coherence and persuasion in political speeches: Ideological coherence in coherent discourse. Brno: Masaryk University, 2017.
- 7) **Mohammad M.D., Niami M., Fattahipoor M.**, The impact of applying lexical equivalent corpus on Iranian translator trainees' achievement in the translation of compound-complex sentences. UCT Journal of Social Sciences and Humanities Research, 6(4), 62-71, 2018.

8) **Владимирова М. С., Тупилова С. Е.**, Лексико-стилистические приёмы как средство передачи эмоциональности (на материале английского политического дискурса), Иностранные языки в контексте межкультурной коммуникации: материалы докладов IX Международной конференции, С. 147-155, 2017.

9) **Чудинов А.П.**, Политическая лингвистика, Москва: Наука, 2006.

10) **Шейгал, Е. И.**, Семиотика политического дискурса, Москва, 2000.

11) **Chokhonelidze K.** (2023). Peculiarities of Discourse Management in English and Georgian Interviews. *Iac* [Internet]. 2023 May 27 [cited 2024 Mar. 25]; Available from:

<https://journals.4science.ge/index.php/enadakultura/article/view/1896>

**Nino Tavidashvili**

Akaki Tsereteli State University

e-mail: [nino.tavidashvili@atsu.edu.ge](mailto:nino.tavidashvili@atsu.edu.ge)

<https://doi.org/10.52340/Iac.2024.31.04>

**SJIF 2024: 8.268**

### **Antithesis as an important stylistic device in political discourse**

#### Abstract

The aim of the paper is to analyze the antithesis as an important stylistic device in political discourse based on the materials of English and Georgian dominant (presidential) discourse. In the process of research we applied the method of pragmatic interpretation of the text, and descriptive and contrasting methods, which gave us the opportunity to identify the communicative intention of the addresser expressed by antitheses, outline the main characteristics of antitheses and determine the similarities and differences between relevant English and Georgian antitheses. English and Georgian presidential speeches of XXI century have been selected as research materials.

An antithesis is a figure of speech that states strongly contrasting ideas placed in juxtaposition. Despite the growing interest in political discourse and its possibilities, at this stage the antithesis as a particularly important argumentative strategy has not yet been explored in depth.

The political antithesis is based on various kinds of binary opposition, which is one of the main methods of influencing the audience in political discourse. The antithesis is constructed with regular or contextual antonyms and various cohesive devices. In the research materials there are also many examples of metaphor usage. The latter significantly enhances the expressiveness of the antithesis.

Thus, there is an organic synthesis of different means of expression, which creates a powerful persuasive effect, making the antithesis one of the most significant stylistic devices.

**Key words:** Antithesis, stylistic device, political discourse